5-22

...ეკადული № 22

აკაკის დღესასწაულის სახსოვრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—სალამი.—(ლექსი), ი. ეგდოშვილისა 3

II—ძია აკაკი.—ი. ეგდოშვილისა 4

III—ჩვენს საყვარელს აკაკის. — (წერილი ჯდაზნის ბერიდან), შენი უცნობი მეხოსი 7

IV—თოხი-ტარა.—(ამბავი), ჯაკაისა 9

V—თიკანი.—(ლექსი), ჯაკაისა 20

VI—ბრიყვი და ჭკვიანი.—(ამბავი), ჯაკაისა 22

VII—ა) გამოცანები,—ბ) რებუსი და აღსნა 24

საყმაწვილო ჟურნალი, მცირე წლოვანთათვის

899.962.1(05)
ნ-22

წელიწადი მე-IV. № 22 ნოემბერი 1908 წ.

1293

აკაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—სალამი.—(დეკქსი), ი. ეკდოშვილისა 3

II—ძია აკაკი.—ი. ეკდოშვილისა 4

III—ჩვენს საყვარელს აკაკის. — (წერილი ადაზნის მირიდან), შენი უტნობი მიხარია 7

IV—თოხი-ტარა.—(ამბავი), აკაკისა 9

V—თიკანი.—(დეკქსი), აკაკისა 20

VI—ბრიყვი და ჭკვიანი.—(ამბავი), აკაკისა 22

VII—ა) გამოცანები,—ბ) რებუსი და აღსნა 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოხი-ტარა

ვენს ქვეყანაში ერთი ჩიტია ჭინჭრაქა*) უფრო ჰატარა! სწორედ ბერძული თხილის ოდენაა და კუდი კი გძელი აქვს; ჰატარა გძელტარიან თოხის მიმსგავსებით, სალხს მისთვის „თოხი-ტარა“ დაურქმევია.

ის უფრო მთა ადგილს ეტანება და უდაბურებში ბუდობს; მეორად სადმე მოსვდება ბარში. გარდა შაშვისა, იმაზე ადრე ბუდეს ვერფერი ჩიტი ვერ გამოიწყებს, მაგრამ გათავებით კი ყველზე გვიან ათავებს. ეშმაკური ბუდე იცის და ძნელი სამუშაოა: მერცხლის ბუდის გარ-ბუდეს აკეთებს, იმ ვარიგე მასალებით, მაგრამ თავღიათ კი არა სტოვებს: ეოველის კუთხით შეკრულია მისი მრგვალ-მოგრძო ბუდე და მხოლოდ, ერთგან სადმე, გვერდით ჰატარა ჭიჭანა აქვს დარჩენილი, შიგ შესაძრომად.

ერთხელ გაზაფხულის ჰირზე, დილა-ადრიანა, გულის ძილში რომ ვიყავ, გადია ჩემის სიტყვები ჩამესმა ეურში: „ადექ! მზე ჰირს იბანს და აბა, დათიკო, შეუმვირე თავი, რომ ოქროს ხუჭუჭი მოგიოიდესო!“ გავაჭეიტე თვალები და დავინახე, რომ მართლა კარგი მზაჰუნა წვიმა მოდიოდა. წამოვარდი ზეზე, შევუშვირე თავი ღარს და წვიმის წელით და-

*) ღობემძვრალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიბანე თავ-ჰირი. გადიაძ ჰირსახოც-საგარცხელი მოძიტანა, ტანთ ჩაძაცვა და მერე ალერსით მითხრა:

— ახლა, შვილო, შენ კი გენაცვალოს შენი გადია, ისაუზმე, რომ ჩიტძა არ გაჯობოს და შენ დაახწრო!

— რა დროს დასწრებაა—ვუთხარი—მერცხალი დიდ-ხანია მოფრინდა და გუგული კი ჯერ ადრეა-მეთქი!

— ვინ იცისო! მიჰასუხა და გაეშურა საძხარეულოსაკენ, თან ჰატარა გიორგაც წაიყოლა, ჩემი ძიძის შვილი და ჩემი საკუთარი მსახური.

ბეგრ-ხანს არ გაუვლია, რომ გიორგას ხელით მოძივიდა ცხელი საწაპური, შაძფურით შიშინა მწვადი, თეთრი ჰური და წითელი ღვინო.

— გაამოს! მითხრა გიორგაძ და დაძიდგა წინ.

მე იმდენად არა მშიოდა, რამდენადაც „სტუმრობიას“ თამაში მინდოდა და გიორგა მოგისვი გვერდით. ცოტათი რომ კუჭი გვეძაგრე, „დაღრჩობიას“ თამაში მოვინდომე, დავადებიე ჰირი ჩემ სტუძარს და დავუწეე ჰირში დიდ-დიდი ლუკმების ტენა.

— ვაიმე! დავიღრჩე! დავიღრჩეო! ძლივს იძახდა გიორგა და კარგად მადიანად კი ილუკძებოდა. მე ისე გულიანად მეცინებოდა, რომ ჩემ სარსარჩე გადია შემოვიდა და რომ დაგვინახა, მიუბრუნდა გიორგას:

— ჭაი შე ეშმაკო და წუწკო! აგრე აბრეკვებ ძაგ ემაწვილსო! და შეუტია შესაძინებლად, ძაგრამ ჩემმა სტუძარძა მოჭკურცხლა; დავრჩი მარტო და მეწვინა.

— რა გინდა, გადია!.. რად უჯავრები! ეს საუზმე მეც მეეოფა და იმასაც! გაჯავრებული წამოვარდი მეც ზეზე და გავარდი გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნემა გადაეღო, მზეს ისევე გამოეჭიატებია და ტბილად იგინებოდა. ზურგი გამითბა, მიამა. ერთი შეეხტი და შემოვურბინე ჩვენს ეზოს.

ერთგან ინდოურები გამოფენილიყვნენ და ერთი ამბავი ჭქონდათ: დედლები კარგა ლამაზად შეექცეოდენ: მადიანად ჭკორტნიდენ მწვანე ბალახს და მაძლები კი სულელ-ამჰარტავანივით იბერებოდენ, თავი მაღლა აეღოთ, მოექინჩათ, ცხვირი ძირს ჩამოეშვათ, კუდი გაეშალათ და ფრთებს ძირს მიახოხიალებდენ. მე ჩამოვურბინე და ვუსტვინე; იმათაც ერთხმად რადაც შემოლულლუღეს წერომა იეო ეს მათის მხრით, თუ მადლობა, ვერ გავიგე, მაგრამ მე კი მაინც გავუმეორე სტვენა. იმათაც ისევ ისე შემოძახეს. რამდენჯერმე გავამეორებინე მათი ძალის ჰირი, სანამ ერთმა მათგანმა არ გამოიცვალა მისი გალობის კილო და არ შემოძახა „წიო-წიოო!“ მაშინ კი ძიეზედი გული მოსდისთქო და მოვაშორე თავი.

სახლიდან *) თიკნები გამოეშვათ და ნაკარდობდენ. თითქო მეთაურად აურჩევიათო, ერთი ჭრელი თიკანი დაუდოდათ წინ და, რასაც ის შვრებოდა, სვებიც იმას იმეორებდენ: ადიოდა ის ჭრელი თიკანი მაღლობზე, სვებიც თან მიჰვებოდნენ! დაეშვებოდნენ ხოლმე თავ-დაღმა სტომით, აჰვებოდნენ სვებიც და სულ კუნტრუშ-კუნტრუშით ჩადიოდნენ დაბლა. ეერე კიდევ... მაგრამ საკვირველი ეს იეო რომ სულ სვა-და-სვა გვარად მოსტოდნენ ხოლმე: ხან ჰირ-და-ჰირ, ჯიქურ, ხან გვერდ-გვერდ, ხან წადმა და ხან უკუღმა; ერთი სიტევით, როგორც მეთაური უჩვენებდათ ხოლმე. ხაშინელი ჟინი მოსიეიდა, რომ მეც აეეოლოდი მათ და ერთად მათთან მეც მესტუნა; მაგრამ რომ დამინახეს თიკნებმა, იქით-აქეთ გაიქცენ გამოიქცენ, და გაწეეიტეს თამაში. მე გულ დაწეეტილი დავეშეი თავდაღმართისაკენ.

*) ბაკი.

ცოტა მათზე მოშორებით დედა-ღორს გამოეყვანა გოჯები და აქვე ბალახობდა. მრისხანედ ჩაჭყენესოდა ქვესკნელს და დრუნჩით ძირს უგდებდა მცენარეს, გოჯები კი მიხურსლილიყვენ ერთს ალაგას, გადასწოლოდენ ერთი მეორეს და ღრუტუნობდენ მზეში. ორი მათგანი კი საჭიდაოთ გამოსულიყო: ხან ერთი ამოსდებდა ჰატარა დინგს ფეხებში მეორეს და ხან მეორე; დიდხანს იცოდვილეს; ბოლოს ერთმა უცბათ ამოჭერა ცხვირი წინა ფეხებში, დასცა მეორე და მოინდომა კბენა. დამარცხებულმა იჭყივლა. დედა-ღორმა თავი მაღლა აიღო მრისხანედ: „ეჭა! ეჭა! ეჭ!“ მიაძახა და მიიწია მათკენ. ჰატარა ცელქებს შეეშინდათ და მიიმალენ სხვა გოჯებთან, ვითომ და აქ არაფერი ამბავიაო. მეც ძალიან გულით მინდოდა რომ დაჭიდებოდი ვისმე... გიორგა რომ იქ ეოფილიყო, ეეძეერებოდი, მაგრამ რომ არსად იყო!.. დაგუწეე ძმანა: ჯერ ეხო შემოვირბინე და მერე გადავედი ტეისკენაც.

იქ ერთ ხეს რომ ვეერდით ჩავუარე, გუგულმა გადმოძახა: „კაფეო!“—„მიჯობნია-მეთქი!“ მივაეგირე უცბათ და შეეხერდი. სიცილი შემოეესმა... ავიხედე მაღლა და რა ვნახე? ჩვენი ჰატარა გიორგა აბარულიყო ხეზე, გამოხვეულიყო ფოთლებში და იქედან მატეუებდა.

— მოგატეუე! მოგატეუე! დამიძახა და მოჭვა ისევ ხარხარს.

მე, ცოტა არ იყო შემრცხვა, მაგრამ არაფრათ შევიმჩნიე:—კეძართოს-მეთქი! ვუთხარი და დავაბირე გაშორება.

— სად მიხვალ? შენც აქ ამოდი!.. მე გუგული ვიქნები და შენ გულ-ქვითელა! მე რომ „კაფეს“ დავიძახებ, შენ „წიწიტო“ დაიძახე და მხრები დაანძრიე, ვითომ ფრთებს აფრთქუნებ!

— დამიჯდა რჩევა, ავცოცდი ხეზე, გადავაჯექი მეორე ტოტს

Грузинская Советская Энциклопедия. Сов. Рас

და გულიანად დავიწყე „წიწიტოს“ ძახილი. შტოები რომ დავანძრიე, იქვე ფეხთით „თოხი-ტარა“ ამოფრინდა.

— ბიჭოს! ეგ ჩიტი უბიდან ხომ არ ამოგფრენია? სად იყო? მკითხა გიორგამ.

მეც გამიკვირდა.

— სწორეთ ბუდე ექნებაო! დაუშვეთ თვალიერება, მაგრამ ვერა დავინახეთ-რა. ძირს ჩავიდეთ და იქედან უკეთ დავინახავთო.

ჩამოვედით. ძირიდანაც ბევრი გუკირკიტეთ, მაგრამ ვერა დავინახეთ-რა; ჩიტი კი იქვე თავზე დაგვწიოდა.

— მოდი ეგრე ნუ ვიზამთ! მივჯდეთ განზე შორი-ახლოს, ძილი მოვიგონოთ, რომ ჩიტმა ჩვენ ზედ ეჭვი ვედარ აიღოს და შორიდან გუთვალთვალოთ! ჩიტი მიფრინდება და თვითონვე მიგვასწავლის ბუდეს.

მართლაც, დიდხანს გვიტრიალა საბრალო ჩიტმა, ხან აქედან, ხან იქიდან და ბოლოს, რომ დარწმუნდა ადარ ინ-ძრევიანო, მიფრინდა ბუდესთან.

— საპოვნელია მეო! დაიყვირა გიორგამ და მიმითითა ბუდეზე...

მართლა რომ უცნაურათ გაკეთებია ის თოხი-ტარას და ძნელი საპოვნელიც იყო...

კატებსავით შევცვივდით ორივე ხეზე, დავუშვეთ სინჯვა იმ ბუდეს, მაგრამ ხელი კი არ მიგვიკარებია: ვიცოდით რომ ჩვენი „ხელის მიკარება და კვერცხების გალაყება ერთი იქ-ნებოდა.“ შორიდან ალერსით რომ გული ვიჯერეთ, ჩავედით ძირს და ჰირობა დავსდევით, რომ იმისთვის ჩხიკინი ადარა დაგვშეო-რა. სანახავთ კი ხშირათ დავდიოდით და შორი ახლოდან ვუყურებდით ხოლმე.

ერთხელ ჭელიპინი შემოგვესმა და სიხარულმა ისე აგვი-ტანა, რომ ჩვენც ავჭელიპინდით. გადმოვეოთ ჭიჭიტანიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვლიპანა თავები ჰატარა ბარტყებს და, ჰირ-დაღებული, თხოვილობდენ საზრდოს... დედა ძალ-ძალ მოფრინდებოდა ხოლმე ჭიებით და ხან ერთსა და ხან მეორეს უდებდა ჰირში. საკვირველია, რომ არ ეშლებოდა. მთელი დღე სულ იმას მივჩერებოდით მე და გიორგა.

საღამოდინ სულ ამ ეოფაში იყვნენ ჩიტუნიები, მაშინ კი გამოძღენ და დაცხრენ; მათი დედაც შეძღრა ბუდეში მათთან და დაიძინეს... მაშინ შეცოცდა ხეზე კატასავით გიორგა, მიეპარა, მიაფარა ხელი ბუდეს, დედაც შიგ გამოაძწევდია, მოგლიჯა ბუდე და ჩამოიტანა ძირს. სიხარულით მე კინაღამ გული შემიწუხდა. მოვეხვიე გიორგას, ვკოცე და გავიქეცით ორივე შინისკენ. კალია მოვიბნეთ, შიგ ბუდე გავაძაგრეთ ჩხირებით... დედაც აქვე ჩავაძწევდიეთ და ჩამოვკიდე ძაღლა. ცოტა ხანს იფრთქიალა კალიაში დედა-ჩიტმა და მერე კი დაწყნარდა. ბღარტებიც სულ განაბულები იყვნენ.

— ეშვიდობით! ხვალ დილამდინთქო! მიეაძახეთ ჩვენ ჩიტუნიებს და წავედით ჩვენ ჩვენთვის.

დედა ჩემს ჩვეულებათა ჭქონდა: საღამ-საღამოობით ზღაპრებს მეტეოდა ხოლმე. იმ საღამოსაც ჩავუდეგ თავი კალთაში და მოვეშვადე ეურის საგდებლად. დიდხანს მაქალაჩუნა და, რომ გული იჯერა ჩემის ალერსით, დამიწყო „ძაღთა-ჰირეგბის“ ამბავი. ეს ზღაპარი სხვაგანაც ბევრჯელ მქონდა გაგონილი, მაგრამ მაინც არაოდეს არ მომწყინდებოდა ხოლმე. იმ ადგილამდი რომ მივიდა დედა ჩემი, სადაც კაცის ჯამია ძაღთა-ჰირები დედა შვილებს აწვალებენ დატეეებულებს,—დედას ცალკე აგდებენ სასუქად და შვილებს კი მარტო ამწევდეენ,— ისეთი სათუთი და გულ-საკლავი სიტყვები ჩაურთო, რომ მე გული ამომიჯდა და ტირილი დავიწყე. თანაც შიშმა ამიტანა და დედას ეეკერებოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა! სად არიან ის ძალთა-ბირები, ძორს არიან? ვჰკითხე ათრთოლებულის ხმით.

— ეველგანო! მიპასუხა ღიმილით: მთელი ქვეყანა ძალთა-ბირებით სავსეა!!.. შენც ბატარა ძალთა-ბირა ხარ!

მე გაკვირვებით გავაჭყიტე თვალები და ვჰკითხე:

— მერე და მე როდის შემიჭამია ადამიანები-მეთქი?

— ეგ სულ ერთია: ძალთა-ბირები ადამიანის შვილებს აწვალებენ და სტანჯავენ და მიტომაც ისინი ჩვენთვის არიან ძალთა-ბირები... ჩვენ კი... აი, თუ გინდა, თვითონ შენ... ჩიტებისა სჯამ და აწვალებ. სჩანს რომ შენ მათთვინ ძალთა-ბირი ხარ... ჩიტები ჭია-ბუბელებს სჯამენ... ისინი კიდევ სხვას და ამ გვარად ერთი მეორის მტერი და ძალთა-ბირა არის... ქვეყანაზე ძალთა-ბირობა აუცილებელია, მაგრამ ძალთა-ბირობაც არის და ძალთა-ბირობაცა!.. ერთი საძართლიანია და მეორე კი უსამართლო!..

მე ბევრი ვერა გავიგე რა და მივაჩერდი დედას.

— აი შვილო! მითხრა—ძართალია ჭია-ბუბელები არაფერს უშავებენ ჩიტებს და თავისთვის მშვიდობიანათ დაჭფრენენ, მაგრამ საზრდო არიან ჩიტებისა და ჩიტებმაც რომ ისინი არა სჯამონ, სიმშილით დაწყდებიან. არც არავს ჩიტები უშავებენ ქორ-მიმინოებს, მაგრამ იმათაც იჭერენ ისინი და სჯამენ. ქორ-მიმინოებსაც კიდევ სხვა ცხოველები ემტერებიან... და ასე, ამგვარათ ქვეყანაზე ერთი მეორის საჩრდილ არის გაჩენილი. ამ ნაირი ძალთა-ბირობა საძართლიანია. მაგრამ უმიზეზოთ რომ შეიბერობ და დასტანჯავ ვისმე, ის კი უსამართლო ძალთა-ბირობაა!... აი მაგალითად: რას გიშავებდენ შენ ის ბატარა ჩიტები? არა გშია და არა გწყურია, სათამაშოებიც ბევრი გაქვს და მაინ რაღას ერჩოდი იმ საწყლებს?

— მე ხომ შესაჭმელათ არ მინდა და არც გაწვალებ-მეთქი? მივუგე: ისე ვეალერსები, მოვეფერები და ვეთამაშები!

— კარგი, მაგრამ, თუ კი იმათ არ უნდა და არ მოუხ-
დება ეგ შენი ალერსი, რატომ არ დაანებებ თავსა? დედა გა-
ლიაში ჰყავთ ჩამწყვდეული... თავის ნებასუდ აღარ არიან.
შეიძლება რომ გული გაუსკდეს და კიდეც მოკვდეს: მერე ვინ-
ღა მოუვლის ჰატარა ჩიტუნიებს? ისინიც დაობლდებიან და
მოკვდებიან!.. ხომ ნახე ამას წინათ ჩვენი მეზობლის ცოლი
რომ მოკვდა და კუბოში ესვენა?... ხომ გახსოვს, როგორ სა-
ცოდავთ სტიროდენ ჰატარა შვილები? აი, სწორეთ ასე იტი-
რებენ შენი ჰატარა ჩიტუნიებიცა!..

ამისთანები ბევრი რამ მითხრა დედამ... ძალათ დაძაფიქრა
და იმ ფიქრით კიდევაც ჩამეძინა.

ბევრი ცუდი სიზმარი ვნახე იმ დამეს: ხან ძალთა-ჰირე-
ბი, ხან ჰეჰელები, ხან ქორები და ხან რა... მაგრამ ერთძა
სიზმარმა კი ყველაზე უფრო შემაწუხა: მომკვდარიეო ჩემი
თოხი-ტარა, ჩაედვათ ყვავილების კუბოში, გარს შემოჯხვეოდენ
ჰატარა ჩიტუნიები და ტიროდენ.. მე რომ დამინახეს, მომა-
ძახეს: „—რათ მოგვიკალი დედაო! ხომ შენი ბრობით გა-
უსკდა გულიო?..“ შემეცოდენ და დავიწყე ღრიალი!..—„რა
გატირებს შვილო, რა გატირებსო, ჩამძახა ჩემმა გადიამ და
გამომეღვიძა...

წამოვარდი ზეზე და გიჟივით გავექანე გალიისაკენ.. ჩემი
ჩიტუნიები ცოცხლები დამხვდენ, მაგრამ ძალიან კი ჭლიბი-
ნობდენ... შიოდათ და დედა-ჩიტიც იქვე ძიმჯდარიეო აფუღუ-
ლი. გავარდი გარეთ, გიორგაც მოვიხმარე, დავიჭირეთ ჰეჰე-
ლები, ჭიები, ბუზები, მოვაგროვეთ და ერთი დიდი მუჭა
მივუტანეთ ჩვენ ჩიტებს.. დედა თოხი-ტარამ ჯერ ათვალიერ-
ჩათვალიერა ის სახრდო, გასინჯა ნისკარტით ერთი ჭია;
მერე მიუტანა და ჩაუდვა ჰირში ერთ ბრტყეს... მერე კიდევ,
მერე კიდევ... ასე რომ ძალე გამოაძღო მშიერი შვილები..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე თვითონაც ჩაულაბა რამოდენიმე ბებელა და მიჯდა ისევ განზე.

— აწ აღარა უჭირსთ-რა-თქო, სიხარულით წამოვიძახეთ მე და გიორგამ ერთად და ბატარა ჭურჭლით წყალიც შევუდგით გალიაში. საკვირველია, რაც უფრო ვუგლიდით და მეტი დღეები გამოდიოდა, უფრო და უფრო ძიევრდენ ჩიტუნიები და მსოლოდ ის მინდოდა, რომ მალე დაზდილიეგნენ.

დედამ ერთი ლოცვა მასწავლა დილა-საღამოს ადგომ-დაწოლის დროს სათქმელად: „ღმერთო გამზარდე, კაი კაცი გამომიეგანე! შენი სამსახური შემაძლებინე! დედ-მამა მიცოცხლე! ძმები, დები...“ და სხვ. ამას ყოველთვის უნაკლულად ვსრულებდი ხოლმე და ახლა ჩემათ ის სიტეგებიც ჩავურთე, რომ „ჩიტუნიებიც მიცოცხლე და გამიზარდე-მეთქი,“ და მართლაც რომ მალე იზდებოდენ. ასე, რომ მოჩიტდენ, ბუდიდან გამოვიდენ და გალიაში დაიწყეს ხტომა.

ერთხელ ჩიტების ფრთხიალი შემოესმა მეორე ოთახში, გავარდი და ვნახე, რომ ჩვენი ხატაველი კატა მისდგომოდა და სცდილობდა როგორმე გამოეყვანა ისინი გალიიდან. ის ჩემი საყვარელი კატა იყო. ვიფიქრე, ამ კატას დედა არა ჰყავს და არც ძალთა-ბირების ამბავი გაუგია, თორემ ამას არ იზამდათქო. მივედი, დავიჭირე, ჩავსვი კალათაში და მოუყეგი ეველაფერი, რაც დედასგან გაგონილი მქონდა... ისიც გულადმა აბლაკული. კუდის ქნევითა და კრუტუნით მიგდებდა ეურს. „ხომ გაიგე-მეთქი? რომ ეჭკითხავდი ხოლმე და დავადებდი ხელს გულზე, ისიც თანხმობის ნიშნად მარცხენა ფეხს მიცაცუნებდა. „ოდონდ ჩიტებს თავი დაანებე, და შეიერს არ დაეტოვებ, ჩემო კატუნია-ძეთქი! ვარწმუნებდი... მაგრამ არ დამიჯერა ძაინც იმ გაუტესელმა: მეორეთაც კიდეე ისევ ის

ამბავი ჩაიდინა. მაშინ კი სწორედ გული მოძივიდა და ძალ-ვუნდომე გამათრახება, მაგრამ დედამ მითხრა:

— მაგისი რა ბრალია... ისევ შენა ხარ დამნაშავე!.. ეგ ჩიტები რომ თავის ნებაზედ იყონ, თავისუფლათ, მაშინ გაფრინდებოდენ და ადარ შეუშინდებოდენ კატას; მაგრამ ახლა კი გალიაში ჩაკიმწყვდევია, გასაქცევი გზა ადარა აქვსთ და, რა-საკვირველია, შიშით გულები უსკდებათ! და მასთანაც ახლა დროც არის მაგათი გადასხმის! შეუძლიათ რომ გაფრინდენ, ფრთები გაზდიათ!... ჩამოვადებინეთ გიორგას გალია, გავდგით მზეში გარეთ და კარებიც გაუღეთ.. დედა თოხი-ტარა ისარივით გამოვარდა მაშინვე, ერთი შეინავარდა, ჭერა კამარა, დასჭეივლა და მიიმალა ჭაერში. დარჩენ ბატარაები გულ-დაწყვეტილები.

— ვაი მე! მიატოვა ბარტყები? ეკითხე დედას.

— არა, შვილო, დიდი ხანია ტყეეობაში იყო, თავისუფ-ლება არა ჭქონია და, ფრენით ყინს რომ მოიკლავს, ისევ დაბრუნდება!

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდა და დაჯ-და გალიის ახლოს... დაუძახა შვილებს, იმათაც აღტაცებით შესჭეივლეს. გაუმეორა ძახილი დედამ... ბარტყები ნელ-ნელა გავიდენ გალიიდან.. გაგოგდა დედა მიწაზე—მიჭყვენ ისინიც; შესტა დედა ჩრდგზე—შეფრთიალდენ შვილებიც; შეფ-რინდა ხეზე—შეფრინდენ ბარტყებიც. გადაფრინდა დედა ერთი ხიდან მეორეზე, მეორიდან მესამეზე და ბოლოს, რომ დარ-წმუნდა, ბარტყებმა ფრთები გაიმართოსო, დასჭეივლა, ავარდა ისარივით და მისცა თავი ცისკენ... მიჭყვენ ბატარეებიც და ჭიკჭიკით გადაიარეს მთა და ბარი... დიდხანს ვადეგნებდი თვალს, სანამ სულ არ მიეფარენ.

— ადარ მოვლენ? ეს არის წავიდენ? ეკითხე გულდაწყვე-ტილმა დედას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადარ, შვილო! მიბასუხა დიმილით; ისიც კმარა, რომ ერთხელ გამოსცადეს ტკბილობა!

ცრემლები მომერია.

— რა გაწუხებს შვილო, დეე ისინი თავის დედასთან იყონ და შენთან კი მე ვიქნები, შენი დედიკო,—და ამომიოცნა თვალები. მეც ეელზე შემოვხვიე ხელები და ჩავეხუტე გულში.. ჩემი გული სწორედ ისე ფართხალებდა, როგორც კატისაგან შეშინებული ჩიტები გალიაში და დედიჩემის გულის ბაგა-ბუგიც შესმოდა, თითქო ბაბბას ჭჭენტვენო!.. მაშინ კიდეე უფრო ჩავეკარ ჩემ მეირფას გულში; მაგრად ჩამიკრა იმანაც.. ჩაეეტკბი და ჩამიტკბო ჩემმა დედიკომაც და იმ დროს ჩიტებიც ადარ მაგონდებოდენ...

აკაკი

თიკანი

უსელი ჩვენ თსას, დედილო,
თიკნები მოუგიაო!
შუა გულ ძილში ვიუავი
და მე არ გამიგიაო.

—

დღეს მომასარა გამდელმა,
მითხრა: „ადექი, ნახეო;
რომ თსები ჯერ არ გარეკონ,
მწყემსები გაგაძრახეო!“

—

ეხვეწებოდა დედა მისს
ოთსის წლის ბაგშვი დათიკო
და ჭირდებანილ, ჩაცმული,
რომ წასულიეო მსათ იეო.

—

დედამ დაჭკოცნა ალერსით.
უთხრა: „კი შვილო, წადიო!
ნასე ჭატარა ბეკეკა,
ასალი დანებადიო“!..

—

ხტუნვით წავიდა დათიკო,
ღიღინით მიფრიალობდა.
და უკან მისი გამდელი
კვალ და კვალ მოჩანჩალობდა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიდნენ, წახეს. დედა-შვილს
კუთხეში მოეკალათა.
ახალ-ნაოლი ბეჭეკა
ჯეირანს ჭვავდა თვალადა.

—

კუდის ქიცინით ბატარა
ტუჩებსაც აცმაცურებდა,
„ძეო“ ენაოდა წვრილის ხმით,
დედა მისს რომ შეჰეურებდა

—

დედა უფლიდა გარშემო
და თავზე დასტრიალებდა;
ლანდიც კი მტერი ეგონა
და თვალებს უბრიალებდა.

—

დათიკომ ხელი მოჭიდა,
კოცნა დაუწეო თიკანსა,
როგორც ერთ რაძე ტიკინას
და სათამაშო საგანსა.

—

დედა გადმოხტა სახქაროდ,
უნდოდა რქებზე აგება,
ძაგრამ გაძდელმა უშველა...
ბავშეს არც კი ჭქონდა გაგება,

—

რომ მისს ხიეკარულს, მისს ალერსს
შემოჭეურებდნენ მტრულადა,
და ინუტებდა ისეეე
ბეკეკას მეგობრულადა.

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიყვი და ჭკვიანი

ამბავი

ბრიყვი და ჭკვიანი შეიყარნენ გზა-ჯვარედინზე. ჯერ გამარჯობა უთხრეს ერთმანეთს და მერე ჰკითხა ჭკვიანმა: „სად მიდიხარო?— არსად! აგერ ცხრა მთას იქით, სატირალში მემახიანო“ უპასუხა ბრიყვმა. შენ სადა მიდიხარო? მეც აგერ ამ მთას გადაღმა ქორწილში მეპატიჟებიანო!... ღმერთმა კარგი მიგცეს! ერთი გზა გვქონიაო!... დაადგენ ორივე ერთად შარას და გაბეს საუბარი. ჰირველ მთის ძირამდი რომ მოვიდენ, მოშივდათ; სადილი მოინდომეს: დასხდენ, მოიხსნეს გუდა ხურჯინები, ამოალაგეს საგზალი და დაუწყეს ჭამა. ცოტახნის სიჩუმის შემდეგ ბრიყვმა უთხრა ჭკვიანს: „კატასავით რომ იცუცნეი, სთქვი რამეო! ხომ იცი რომ ხმის გაუცემლობა მომდურაობას ნიშნავსო? —მართალია, მაგრამ არც ბევრი ლაპარაკი ვარგა სუფრაზეო! უპასუხა ჭკვიანმა. თუ მაინცა და მაინც ადარ იშლი, შენ „ციცუ-ციცუ!“ მიმახე და მე „მიავ-მიაუს“ დაგიმახებო. მოეწონა ბრიყვს და მოჰყვა „ციცუ-ციცუს“ ძახილს... ჰირში ყედარა ჩაიდვარა. „მიაუ-მიაუ!“ იძახოდა ჭკვიანი და თან იტენდა ჰირს... სუფრა რომ აიღეს ჭკვიანი გამამღარი დარჩა და ბრიყვი კი მშიერი. მთა რომ გადაიარეს, ბრიყვს კიდევ უფრო მოშივდა და ამხანაგს უთხრა ვისამხროთო!. კარგი, მაგრამ ერთი საჭაჰურის მეტი ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დაგვრჩენიარა და ის ან შენ არ გეყოფა ან მეო... თუ გინდა სანამლეგო დავდგათ: ერთ თავში შენ მოუჭირე კბილი, მეორეში მეო; გავსწიოგამოვსწიოთ და ვინ წაართვას იმას დარჩესო. უპასუხა ამხანაგმა.—კარგიო? დაეთანხმა ბრიყვი. მაგრამ შენ ახლა „ციცუ-ციცუ“ იმახე და მე „მიაუს“ დავიმახებო. მორიგდენ. მოუჭირა ჭკვიანმა კბილები ხაჭაპურს და მოჰყვა „ციცუ-ციცუ!..“ მოუჭირა მეორე თავში ბრიყვმაც კბილები და დაიმახა „მიაუო!“ გაიღო პირი, გამოუარდა ხაჭაპური და წაიგო სანამლეგო. მოჰყვა წუწუნს, რადა ვქმნა ახლა მშიერმა, შორი გზა მაქვს და საგზალი კი გამოშელიაო! „არა გიჭირს რაო!“ ანუგეშა ჭკვიანმა. დაბრუნდი ძინ ცოლშვილში, ახალი საგზალი გამოაცხობინე, მაგრამ ბევრი თუ არ იქნა,

„ბრიყვის საგზალი მალე დაილევაო.“

აკაკი

აკაკის ამოცანები

უენოა, მაგრამ უსმოდ ბეკრი რამ კარგის მთქმელია;
უგნურის დაწუნებული, ჭკვიანის სანატრელია.

—

ფეხში რომ ხელი მოიკიდეს, ზღვაში ჩამკიდეს თავითა,
რომ ამოიღეს, თეთრი გზა მოვრწყე ცრემლითა შავითა.

—

ემაწვილისთვის სასარგებლო, ეარ მისგანვე გაწირული.
თავსა მჭრის, რომ გამოიხნდეს დაფარული შავი გული.

—

თეთრი რამ შავზე დახტოდა, სტოვებდა თეთრსა კვალსაო,
კვალშიგე უდგა ემაწვილი, არ ამორებდა თვალსაო.

***

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის მიერ)

***

მე-21 №-ში მოთავსებულ გამოცანების ახსნა:

გამოცანებისა:—1) ბატი,—2) როდინი,—3) დორი ⁊ გოჭები.
რებუსისა:— ამერინდო ურიაა თუ თათარი.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ: 1-ლი, **„1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“**. 2-რე, **„თომას თავგადასავალი“ მარკ ტვენისა.**

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და უფუთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**